ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №366838

ნომერი: AR182338

თარიღი : 23.09.2012

გაცემის თარიღი : 25.09.2012

გაცნობის თარიღი : 12.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი I , ცენტრალური გზის მიმდებარედ , უბანი II , (ნაკვეთი N 014/068) / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი I , ცენტრალური გზის მიმდებარედ , უბანი II , ნაკვ.14/095 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ ლაითაძე პ/ნ 01024012095
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 14 ბ. 16

ორგანიზაცია:
- ი.მ. "მიხეილ ლაითაძე" კოდი: 01024012095

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 მარტის №67858 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 23 სექტემბერს № AR182338 განცხადებით მომართა შპს „ინტერლაბი“-ს წარმომადგენელმა მოქ. მიხეილ ლაითაძემ და

მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 05 მარტის №67858 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 05 მარტის №67858 გადაწყვეტილებით დადგინდა ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II გულრიფში ს. მერხეულში 600 მ2 მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერიდან (საკადასტრო კოდი N №01.10.06.014.096, სარეგისტრაციო N №882012594272, მომზადების თარიღი 30/08/2012 წ.) და საკადასტრო გეგმიდან (სარეგისტრაციო №882012275582, მომზადების თარიღი 19.06.12წ.) ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო ტერიტორიის კონფიგურაცია, ფართობი და საკადასტრო კოდი.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ის პარამეტრებითა და პირობებით. მიერთებული ტერიტორია, მდებარეობს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)–ში, რომელსაც ქალაქგეგმარებითი პარამეტრები არ გააჩნია და მისი სამშენებლოდ განვითარება მოთხოვნილი ფუნქციით კანონმდებლობით არ არის დაშვებული. გამომდინარე აქედან მიწის ნაკვეთზე უნდა იქნეს დაფიქსირებული ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი და მშენებლობა განხორციელდეს საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ის გავრცელების არეალში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია 2012 წლის 05 მარტის №67858 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

გადაწყვეტილება

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 მარტის №67858 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: ა) საკადასტრო კოდად №01.10.06.014.068 ნაცვლად და მიწის ნაკვეთის ფართობად 600 მ2 ნაცვლად დაფიქსირდეს საკადასტრო კოდი №01.10.06.014.096 და მიწის ნაკვეთის ფართობი 740 მ2; გ) მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმის შესაბამისად; დ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი და საკადასტრო გეგა (საკადასტრო კოდი N 01.10.06.014.096, სარეგისტრაციო N №882012594272, მომზადების თარიღი 30/08/2012 წ.; სარეგისტრაციო №882012275582, მომზადების თარიღი 19.06.12წ.); ე) გრაფაში – ,,მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონა“: დაემატოს ახალი ფუნქციური ზონა – „სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)“; ვ) გრაფაში: – ,,მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების დომინირებული ფუნქციური სახეობა“ დაემატოს – „ტზ–1 – წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში _ ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს)“; ზ) შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: „1. დაცულ იქნეს აეროფოტოგადაღებაზე დასმული ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი (იხ. დანართი”); 2. შენობა–ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ის

გავრცელების არეალში”;

2. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 მარტის №67858 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.